ლიბერთი ბანკი

კლიენტის კოდი

გადახდის ქვითარი 5201668

24.11.2014

გადამხდელი:	ლეილა ღვანიძე				
ნაღდი ანგარიშსწორებით გადახდილია სულ :	3002.10	გადარიცხვის საკომისიო:	2.10	GEL	მ.ა. მოლარე

ლიბერთი ბანკი

საგადახდო დავალება N 5201668

24.11.2014

LB-10005201668

GEL

3000,00

თანხა სიტყვიერად

სამიათასი ლარი

გადამხდელის დასახელება: ლეილა ღვანიძე

გადამხდელის ანგარიში GE10LB0028145010427137

გადამხდელის ბანკი: სს "ლიბერთი ბანკი"

ბანკის კოდი LBRTGE22

ინფორმაცია პირზე, რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა

დასახელება: ი.მ.ა "აბანოთუბანი 2006"

საიდენტიფიკაციო კოდი/ პირადი ნომერი: 204520562

მიმღები დასახელება: ერთიანი საბიუჯეტო ანგარიში

მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი: 300773263

მიმღების ბანკი/ხაზინა: ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური

ბანკის კოდი TRESGE22

საიდენტიფიკაციო კოდი:

გადახდის დანიშნულება: შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიან დადგენილება ნომერი:000520

დამატებითი ინფორმაცია:

ხელმოწერა:

ბანკის აღნიშვნები

შესრულების თარიღი: 24.11.2014

ხელმოწერა

მ.ა.

შემსრულებელი

LB-10005201668

დადგენილება №000520
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

21.11.2014წ. ქ.თბილისი, შარტავას 7

მე, სამსახურის უფროსის პირველმა მოადგილემ დავით მედულაშვილმა განვიხილე 2014 წლის 21 ნოემბრის №000520 შემოწმების აქტი "სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ", **ი.ბ.ა. "აბანოთუბანი 2006"-ის** (საიდენტიფიკაციო №204520562, თავმჯდომარე ლეილა ღვანიძე (პირადი №01010001311, მის: ქ. თბილისი, გრიშაშვილის, ახუნდოვის და ფირდოუსის ქუჩებს შორის) მიმართ საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.ბ." ქვეპუნქტით გათვალისწინებული დარღვევისათვის

გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, გრიშაშვილის, ახუნდოვის და ფირდოუსის ქუჩებს შორის, ი.ბ.ა. "აბანოთუბანი 2006"-ის მიერ განხორციელდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ №01/1658 04.07.2011წ. ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით: „კ-ა" ფასადი: „გ-ა" მონაკვეთში -3.30 ნიშნულზე ოთხი ფრამუგის ნაცვლად მოწყობილია რვა ფრამუგა გისოსით. „ა-ა" ღერძის გარეთ შეცვლილია კარის გაბარიტები და ნახატი, ასევე არ არის მოწყობილი ავტოფარეხში შესასვლელი კარი. „ე-გ" მონაკვეთში შეცვლილია ჭიშკრის და კარის ნახატი. შეცვლილია ღობის ფორმა და ნახატი. „კ-კ" ღერძის გარეთ არ არის მოწყობილი ჭიშკარი. „კ-ი" და „ზ-ე" მონაკვეთებში ღობეში დამატებით მოწყობილია კარები. ±0.00 ნიშნულზე „ი-ზ" მონაკვეთში ვიტრაჟების თავზე შესრულებულია განსხვავებული ფერით ღებვა. „ი-თ" მონაკვეთში ვიტრაჟის თავზე მოწყობილია სარეკლამო ბანერი. „თ-ზ" მონაკვეთში +8.70 და +12.00 ნიშნულზე, აივნების ქვეშ გაუქმებულია ხის დეკორატიული ელემენტები. აღნიშნულ ნიშნულებზე „კ-ი" მონაკვეთში ვიტრაჟებში მოწყობილია შუაკედლისები. +12.00 ნიშნულზე „ბ-ბ" ღერძთან გაზრდილია აივნის გადახურვის გაბარიტი. „კ-ი" მონაკვეთში შესამინია წრიული ფორმის ფანჯარა. „1-7" ფასადი: +0.00 ნიშნულზე ვიტრაჟებში მოწყობილია კარები. ფასადზე არ

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

არის მოწყობილი ხის ჟალუზები. +12.00 ნიშნულზე შეცვლილია ვიტრაჟების ნახატი და ტერასაზე არ არის დასრულებული მოაჯირის მოწყობა. „2-3" და „5-6" მონაკვეთებში ვიტაჟებში მოწყობილია შუაკედლისები, ხოლო მათ გვერდით, კედლებში - ფრამუგის ღიობები. „7-1" ფასადი: აივნებზე კაპიტალური მოაჯირის ნაცვლად მოწყობილია ლითონის მოაჯირები და შეცვლილია მათი ნახატი, ასევე არ არის დასრულებული მოაჯირების მოწყობა. ±0.00 ნიშნულზე „5-3" მონაკვეთში შეცვლილია ვიტრაჟების ნახატი. ფასადზე მოწყობილია კონდიციონერები, სატელიტური ანტენა და გათბობის ქვაბი ხის კარადით. არსებული რელიეფის დონე არ შეესაბამება საპროექტოს. არ არის აღებულია დროებითი ამწე. „ა-კ" ფასადზე: აივნებზე კაპიტალური მოაჯირის ნაცვლად მოწყობილია ლითონის მოაჯირი. „გ-დ" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია კონდენციონერი. +5.40, +8.70 და +12.00 ნიშნულებზე „ი-კ" მონაკვეთში კარ-ფანჯრების ნაცვლად მოწყობილია ფანჯრები. +8.70 და +12.00 ნიშნულებზე „კ-კ" ღერძთან ფანჯრების ნაცვლად მოწყობილია კარ-ფანჯრები. შენობაში „ზ-თ" და „6-5" მონაკვეთებში ლიფტის შახტასთან დამატებით მოწყობილია კოლონები. შენობაში არ არის მოწყობილი ლიფტები. -3.30 ნიშნულზე, „5-6" მონაკვეთში არ არის მოწყობილი კიბე, „ა-ა" ღერძის გარეთ „6-7" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია კიბე, ხოლო „5-7" მონაკვეთში სრულად არ არის მოწყობილი აუზის კედლები. „5-7"-„ა-გ" და „დ-გ" მონაკვეთებში შეცვლილია შიდა კიბეების კონფიგურაცია. „6-6" ღერძზე გაუქმებულია ლითონის სვეტი. „ა-ა" ღერძის გარეთ „1-6" მონაკვეთში არ არის მოწყობილი კედელი. „1-1" და „3-3" ღერძებზე დამატებით მოწყობილია მცირე ზომის საჰაერო ღიობები.±0.00 ნიშნულზე, „5-6"-„ა-ბ" მონაკვეთში ფილაში დამატებით მოწყობილია ღიობი. „ბ-ა"-„1-2" მონაკვეთში არ არის მოწყობილი შიდა კიბე. „გ-გ" ღერძზე „1-2" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია ლითონის სვეტები. „კ-ი" მონაკვეთში „1-1" ღერძის გარეთ დამატებით მოწყობილია კიბის საფეხურები და სათავსი „1-7" ფასადის მხრიდან კარით. „3-3" ღერძის გარეთ „ი-კ" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია კიბე და ბაქანი, ხოლო +2.75 ნიშნულზე „ი-კ" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია საქვაბე 2მ^2 ფართის. „2-1" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია ლითონის საყრდენი სვეტები. „ე-ე" ღერძზე ვიტრაჟის ნაცვლად მოწყობილია ფრამუგა და ორი საჰაერო ხვრელი. +2.75 ნიშნულზე, „1-2" მონაკვეთში „ე-დ" და „ბ-ა" ღერძებს შორის დამატებით მოწყობილია სამი აივანი. „თ-ი"-„3-2" მონაკვეთში მეორე სინათლისთვის განკუთვნილ ღიობზე დამატებით მოწყობილია ფილა 1.5მ^2 ფართის. +5.40 ნიშნულზე, „2-3" მონაკვეთში აივანზე დამატებით მოწყობილია აივნის გამყოფი. +8.70 ნიშნულზე, „ზ-თ"-„4-3" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია კიბის საფეხურები. +12.00 ნიშნულზე, „2-1" მონაკვეთში შეცვლილია ტერასის კონფიგურაცია და გაბარიტები. „გ-დ"-„1-2" მონაკვეთში არ არის დასრულებული კიბის მოწყობა. „2-2" ღერძზე, „ზ-ე" მონაკვეთში ამოშენებულია კედელი, რითიც ტერასა გაყოფილია ორ ნაწილად. „ზ-დ" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია ლითონის სვეტები. „გ-ა" მონაკვეთში შეცვლილია ანტრესოლზე ამავალი კიბეების კონფიგურაცია. „5-7" მონაკვეთში მოაჯირის წინ არ არის მოწყობილი გადახურვა. „1-7"-„ბ-ა" მონაკვეთში შეცვლილია ტერასის გაბარიტები და კონფიგურაცია. „ზ-ზ" და „1-1" ღერძების კვეთაზე გაუქმებულია კოლონა. +14.30 ნიშნულზე, „6-7"-„ბ-გ" და „გ-ბ"-„1-2" მონაკვეთებში გაზრდილია ფილის გაბარიტები.-0.03 ნიშნულზე, „ა-ა" ღერძის გარეთ არ არის დასრულებული ტერასის მოწყობა. +15.30 ნიშნულზე, „კ-თ" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია ლითონის სვეტები. „ი-ზ" მონაკვეთში შეცვლილია ტერასის გაბარიტები, ხოლო „ი-ზ" მონაკვეთში შეცვლილია კოლონების ფორმა. ფასადებზე ნაწილობრივ შეცვლილია ღიობების რაოდენობა, გაბარიტები და მონაცვლებული აქვთ ადგილი, ასევე ზოგიერთ მონაკვეთში ღიობები შესავსები და შესამინია. შეცვლილია

ფასადების მოპირკეთება, შეცვლილია დეკორატიული ელემენტების რაოდენობა, ფორმა და მდებარეობა. მოწყობილია წყალშემკრები მილები. ფასადებზე შეცვლილია ხის დეკორატიული ელემენტების ნახატი. ნაწილობრივ შეცვლილია აივნის გაბარიტები და მოაჯირების ნახატი. ±0.00 ნიშნულზე შეცვლილია ვიტრაჟების ნახატი. ეზოში არსებული და საპროექტო დონეები არ შეესაბამება ერთმანეთს. +12.00 ნიშნულიდან ზევით შესალესი და შესაღებია კედლების ნაწილი. ტერასაზე არ არის მოწყობილი ხის პერგოლის საჩრდილობლები. სახურავის ძირებთან ფიქსირდება შეფუთული გადახურვის კონსტრუქციები. სახურავებზე შეცვლილია საკვამურების რაოდენობა და ფორმა. „1-1“ ღერძის გარეთ გარე კიბის საფეხურები ცდება წითელ ხაზს. ეზოში არსებული შენობა-ნაგებობების ნაწილები შემოჭრილია საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრებში.

2014 წლის 21 ნოემბერს საქართველოს “პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი”-ს 25-ე მუხლის 23-ე ნაწილის “ზ” პუნქტის საფუძველზე, სამსახურის სპეციალისტის მიერ შედგა შემოწმების აქტი №000520 “სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ.” საქმეშია, მხარის №12/14315571-16 11.11.2014წ. განცხადება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, მიერ ი.ბ.ა. “აბანოთუბანი 2006”-ის ჩადენილია საქართველოს “პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი”-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის “ა” პუნქტის “ა.ბ.” ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ, ქ. თბილისში, გრიშაშვილის, ახუნდოვის და ფირდოუსის ქუჩებს შორის, ი.ბ.ა. “აბანოთუბანი 2006”-ის მიერ განხორციელდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ №01/1658 04.07.2011წ. ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, 2009 წლის 24 მარტის საქართველოს მთავრობის №57 დადგენილებით ”მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ”, საქართველოს “პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი”-ს 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 25-ე მუხლის მე-9 ნაწილის “ა” პუნქტით, 25-ე მუხლის მე-18 ნაწილით, 25-ე მუხლის 21-ე ნაწილით, 25-ე მუხლის 22-ე ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილითა 45-ე მუხლის 1-ლი ნაწილის “ა” პუნქტის “ა.ბ.” ქვეპუნქტით

დავადგინე:

1. ი.ბ.ა. “აბანოთუბანი 2006” დაჯარიმდეს 3.000 (სამიათასი) ლარით პროექტის დარღვევით III კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობისათვის;

2. ი.ბ.ა. “აბანოთუბანი 2006”-ს დაევალოს საქართველოს “პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი”-ს 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში;

საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - **მიმღების დასახელება:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, **მიმღების ბანკი:** სახელმწიფო ხაზინა, **ბანკის კოდი: TRESGE22,** საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: **300773263,** გადახდის დანიშნულება: დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე.

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, ი.ბ.ა. "აბანოთუბანი 2006"-ს დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა.

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, "დამრღვევის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას საურავის დაკისრების შესახებ", ხოლო საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-2 ნაწილით, დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით.

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, ჯარიმის დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, დამრღვევი დაჯარიმდება წინა ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც დამრღვევს შეიძლება დაეკისროს არა უმეტეს სამჯერ.

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან (ჩაბარებიდან /განთავსებიდან) 15 დღის ვადაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7).

სამსახურის უფროსის
პირველი მოადგილე დ. მედულაშვილი